N 03/02/03-54 03/08/2021

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისი

„2021 წლის რთვლის საკოორდინაციო შტაბში ღვინის კომპანიების ელექტრონული რეგისტრაციის პირობების დადგენის შესახებ“ სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 14 ივნისის N03/02/03-36 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2012 წლის 17 აპრილის №2-67 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტოს დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „გ)“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „2021 წლის რთვლის საკოორდინაციო შტაბში ღვინის კომპანიების ელექტრონული რეგისტრაციის პირობების დადგენის შესახებ“ სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 14 ივნისის N03/02/03-36 ბრძანებაში შევიდეს ცვლილებები და

ა) ბრძანების პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ)“ ქვეპუნქტი:

„დ) ყურძნის მიღება-გადამუშავების პროცესის განხორციელება ყურძნის ჩამბარებლის მიერ ყოველი პარტიისათვის საქართველოს მთავრობის 2021 წლის 23 აპრილის N626 განკარგულების განკარგულების მე-12 პუნქტით გათვალისწინებული ცნობის წარდგენის, ხოლო ამავე განკარგულების მე-10 პუნქტით გათვალისწინებული მევენახეობის კადასტრის ამონაწერის ერთჯერადად წარდგენის შემთხვევაში.“

ბ) ბრძანების პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „1^1)“ პუნქტი:

„1^1) ბრძანების პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების მოთხოვნა არ გავრცელდეს მცირე ზომის მარნებზე.“

2. დაევალოს სააგენტოს მევენახეობა-მეღვინეობის ანალიზისა და რეგულირების და ადმინისტრაციულ დეპარტამენტებს ამ ბრძანების ღვინის კომპანიებისთვის გაცნობა.

3. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.

4. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: *„2021 წლის რთვლის ორგანიზებულად ჩატარებისათვის განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 23 აპრილის*

N626 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 2 აგვისტოს N1324 განკარგულება.

ლევან მეხუზლა

თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა